


ՀԵՄԱՆՆՈՒ

ՅՈՒՆԻՍԿՈՒՆ

1974



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԿՐԹԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

7A8.5
796.332 «1974»
ზ47

ავტორი-შემდგენელი
ბ. აკოპოვი

«ФУТБОЛ-74»
Справочник-календарь
Автор-составитель Г. Акопов
(На грузинском языке)
Издательство ЦК КП Грузии
Тбилиси, 1974

0001—023
Ф — 81—74
М—606(02)—74

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი
სსრკ-ის ჟურნალისტთა ფედერაცია

ფეხბურთი

ცნობარი-კალენდარი

1974



საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი — 1974

ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩვენთან სულ უფრო იზრდება ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირების პოპულარობა. პირველი ნაბიჯი ამ მიმართებით, რომელსაც ასე დიდხანს ელოდნენ ჩვენი ფეხბურთელები, ფეხბურთის მოყვარულები და მთელი სპორტული საზოგადოებრიობა, რვა წლის წინ გადაიდგა. გადაწყდა მიგველო მონაწილეობა შეჯიბრებაში, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენლები აკლდა...

სპორტულ სარბიელზე პირველად კიევის „დინამო“ გამოვიდა. კიეველები ჩაებნენ შეჯიბრებაში, რომლის პირობები, ტრადიციები, კულისებსმიღმა ბრძოლა, სპეციფიკური ტაქტიკური მიდგომა, სტრატეგიული პრინციპები და ბევრი სხვა რამ ჩვენთვის მხოლოდ მიახლოებით იყო ცნობილი. ფეხბურთელებს ამ დიდი, ჩვენთვის ახალი და უცნობი სატურნირო მექანიზმის ყველა დეტალის შესწავლა უკვე შეჯიბრების მსვლელობის დროს მოუხდათ. ამ ამოცანის შესრულებას ერთი გარემოებაც აძნელებდა: მთელი სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ისე უნდა გარდაქმნილიყო, რომ გუნდს სპორტული ფორმა თითქმის მთელი წლის მანძილზე შეენარჩუნებინა.

საკლუბო გუნდების ტურნირებში მონაწილეობა წყვეტდა კიდევ ერთ პრობლემას. აქამდე დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი გამოდიოდა. მართალია, საბჭოთა ფეხბურთელები ამხანაგურ მატჩებში ხვდებოდნენ საზღვარგარეთულ კლუბებს, მაგრამ ამ შეხვედრებმა თანდათან დაკარგეს უწინდელი სპორტული მნიშვნელობა. ასეთ მატჩებში მონაწილე გუნდები არ გავდნენ საერთაშორისო ტურნირებში პრიზებისათვის მებრძოლ მოწინააღმდეგეებს.

საერთაშორისო ტურნირებში მოთამაშე იბრძვის მთელი ენერჯით, უჩვენებს მთელ თავის შესაძლებლობას და, რა თქმა

უნდა, მატჩების სპორტული ინტერესიც უფრო მაღალია. ამ ტურნირებში მონაწილეობამ სსრ კავშირის საკლუბო გუნდებს შემდგომი ზრდისა და თამაშის კლასის ამაღლების შესანიშნავი პერსპექტივა შეუქმნა.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი

გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო მორიგი, მეთვრამეტე გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონები. ამ ტურნირს ასეთი დასახელებაც აქვს — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, რომლის მფლობელნი წინა წლებში იყვნენ:

- 1956—1960 წ.წ. — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი).
- 1961—1962 წ.წ. — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია).
- 1963 წ. — „მილანი“ (იტალია).
- 1964—1965 წ.წ. — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია).
- 1966 წ. — „რეალი“ (ესპანეთი).
- 1967 წ. — „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია).
- 1968 წ. — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი).
- 1969 წ. — „მილანი“.
- 1970 წ. — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია).
- 1971—1973 წ.წ. — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია).

საბჭოთა ფეხბურთელები ამ ტურნირში მონაწილეობენ 1966 წლიდან. ქვეყნის მაშინდელი ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო“ პირველივე წრის მატჩებში შეხვდა ძალიან ძლიერ მეტოქეს — იტალიის ჩემპიონს, მილანის „ინტერნაციონალეს“. ერთადერთმა ბურთმა (1:0 — მილანში, 0:0 — მოსკოვში) უპირატესობა „მრლანს“ მოუტანა.

შემდგომში საბჭოთა ფეხბურთელები ასეთი შედეგებით გამოდიოდნენ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში:

- 1967—68 წ.წ. „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — 2:1, 1:1, „დინამო“ (კიევი) — „გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი) — 1:2, 1:1.

1968—69 წ.წ. ტურნირში საბჭოთა გუნდებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

1969—70 წ.წ. „დინამო“ (კიევი) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — 3:1, 3:1, „დინამო“ (კიევი) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია) — 1:2, 0:0.

1970—71 წ.წ. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ბაზელი“ (შვეიცარია) — 3:2, 1:2.

1971—72 წ.წ. ცსკა — „გალათასარაი“ (სტამბული, თურქეთი) — 1:1, 3:0, ცსკა — „სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია) — 1:0, 2:0.

1972—73 წ.წ. გათამაშებაში გამოდიოდნენ კიევის დინამოელები. პირველ წრეში მათ დაამარცხეს ავსტრიის ჩემპიონი — „ვაკერი“ (ინსბრუკი) (2:0, 1:2), რომლის ღირსებას იცავდა ევროპის ერთ-ერთი პოპულარული ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლოდზიმეჟ ლიუბანსკი. მაგრამ მეოთხედფინალში წააგეს ესპანეთის ჩემპიონთან — მადრიდის „რეალთან“ (0:0, 0:3) და გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

1973—74 წ.წ. გათამაშება

საბჭოთა კავშირის 1972 წლის ჩემპიონი ვოროშილოვგრადის „ზარია“ პირველად ჩაება ასეთ რთულ და საპასუხისმგებლო ტურნირში. მეთექვსმეტედფინალში „ზარიას“ მოწინააღმდეგე იყო კიპროსის ჩემპიონი ნიქოზიის კლუბი „აპოელი“ ვოროშილოვგრადელებმა ჯერ საკუთარ მოედანზე (2:0), შემდეგ კი სტუმრად (1:0) დაამარცხეს „აპოელი“ და გავიდნენ შემდეგ წრეში, სადაც მათი მოწინააღმდეგე იყო ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი — „სპარტაკი“ (ტრნავა). „ზარიამ“ ფრედ (0:0) დაამთავრა შეხვედრა ტრნავაში, მაგრამ წააგო (0:1) საკუთარ სტადიონზე და გამოეთიშა გათამაშებას.

მოგვყავს ჩემპიონთა თასის ტურნირის შედეგების ცხრილი:

პირველი წრე — მეთექვსმეტედფინალი

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „აპოელი“ (ნიქოზია, კიპროსი) — 2:0, 1:0
„დოჟა-უიპეშტი“ (უნგრეთი) — „უოტერფორდი“ (ირლანდია) — 3:2, 3:0

„ბაიერნი“ (გფრ) — „ატვიდაბერგი“ (შვეიცია) — 1:3, 3:1, პენალტებით 4:3

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — 1:0, 1:0

„სელტიკი“ (შოტლანდია) — „ტურკუ“ (ფინეთი) — 6:1, 3:0

„იუვენტუსი“ (იტალია) — „დინამო“ (დრეზდენი, გფრ) — 0:2, 3:2

„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „სტალი“ (პოლონეთი) — 2:1, 1:0

„ლივერპული“ (ინგლისი) — „ჟენესი“ (ლუქსემბურგი) — 1:1, 2:0

„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — „გალათასარაი“ (თურქეთი) — 0:0, 1:0

„სპარტაკი“ (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) — „ვიკინგი“ (ნორვეგია) — 2:1, 1:0

„ვეილე“ (დანია) — „ნანტი“ (საფრანგეთი) — 2:2, 1:0

ცსკა — „სებტემერიისკო ზნამე“ (ბულგარეთი) — „სვაროვსკი“ (ავსტრია) — 3:0, 1:0

„ბრიუჟი“ (ბელგია) — „ფლორიანა“ (მალტა) — 8:0, 2:0

„ბაზელი“ (შვეიცარია) — „ფრამი“ (ისლანდია) — 5:0, 6:2

„დინამო“ (ბუქარესტი) — „კრუზეიდერსი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) — 1:0, 11:0

პირველ წრის თამაშებიდან თავისუფალი იყო თასის მფლობელი „აიაქსი“ (პოლანდია), რომელიც ბრძოლაში მერვედფინალიდან ჩაებმევა.

მეორე წრე — მერვედფინალი

„სპარტაკი“ — „ზარია“ — 0:0, 1:0

„ატლეტიკო“ — „დინამო“ (რუმინეთი) — 2:0, 2:2

„სელტიკი“ — „ვეილე“ — 0:0, 1:0

ცსკა „სებტემერიისკო ზნამე“ — „აიაქსი“ — 0:1, 2:0

„დოჟა-უიპეშტი“ — „ბენფიკა“ — 1:1, 2:0

„ბაზელი“ — „ბრიუჟი“ — 1:2, 6:4

„ბაიერნი“ — „დინამო“ (გფრ) — 4:3, 3:3

„ცრვენა ზვეზდა“ — „ლივერპული“ — 2:1, 2:1

მეოთხედფინალები, რომლების თარიღებია 1974 წლის 6 და 20 მარტი, ასე დამთავრდა:

- „სელტიკი“ — „ბაზელი“ — 3:2, 4:2
- „ატლეტიკო“ — „ცრვენა ზვეზდა“ — 2:0, 0:0.
- „დოჟა“ — „სპარტაკი“ — 1:1, 1:1, პენალტებით
გაიმარჯვა „დოჟამ“ —
- „ბაიერნი“ — ცსკა „სეპტემკრიისკო ზნამე“ — 4:1, 1:2.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი

1961 წელს საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ტურნირს ევროპის კონტინენტის საკლუბო გუნდებისთვის — ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებას. ამ ჯილდოს ფლობდნენ შემდეგი გუნდები:

- 1961 წ. — „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია).
- 1962 წ. — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი).
- 1963 წ. — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი).
- 1964 წ. — „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია).
- 1965 წ. — „ვესტ ჰემ იუნაიტედ“ (ლონდონი, ინგლისი).
- 1966 წ. — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ).
- 1967 წ. — „ბაიერნი“ (მიუნჰენი, გფრ).
- 1968 წ. — „მილანი“ (იტალია).
- 1969 წ. — „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია).
- 1970 წ. — „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი).
- 1971 წ. — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია).
- 1972 წ. — „მილანი“ (იტალია).

საბჭოთა კლუბები ამ ტურნირში მონაწილეობენ 1965 წლიდან. თავისი ძალა პირველმა გამოსცადა კიევის „დინამომ“. მოგვყავს ჩვენი გუნდების შედეგები წინა წლების ტურნირებში.

1965—66 წ.წ. — „დინამო“ (კიევი) — „კოლრეინი“ (ჩრდირილანდია) 6:1, 4:0, „დინამო“ (კიევი) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია) 4:1, 2:0, „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (შოტლანდია) — 0:3, 1:1.

1966—67 წ.წ. — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ოფკ (ბელგრადი, იუგოსლავია) — 3:1, 3:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) 1:1, 0:1.

1967—68 წ.წ. — „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მოტორი“ (ცვიკაუ, გდრ) — 0:0, 1:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) — 3:0, 3:1, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „კარდიფ სიტი“ (უელსი) — 1:0, 0:1, 0:1.

1968—69 წ.წ. — საბჭოთა გუნდებს ტურნირში მონაწილეობა არ მიუღიათ.

1969—70 წ.წ. — „ტორპედო“ (მოსკოვი) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — 0:0, 1:1.

1970—71 წ.წ. — „კარპატი“ (ლგოვი) — „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — 0:1, 3:3.

1971—72 წ.წ. — „დინამო“ (მოსკოვი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) — 2:0, 1:2, „დინამო“ (მოსკოვი) — „ესქიშეპირსპორი“ (თურქეთი) — 1:0, 1:0, „დინამო“ (მოსკოვი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — 2:1, 1:1, 1:1 (პენალტით), ფინალი — „დინამო“ (მოსკოვი) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — 2:3.

1972—73 წ.წ. — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ჰააგა“ (ჰოლანდია) — 1:0, 0:0.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ატლეტიკო“ (მადრიდი) — 4:3, 1:2.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მილანი“ (იტალია) — 0:1, 1:1.

1973—74 წ.წ. გათამაშება

პირველი წრე — მეთექვსმეტეფინალი

„ატლეტიკო“ (ბილბაო, ესპანეთი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — 0:0, 2:0.

პაოკი (საბერძნეთი) — „ლეგია“ (პოლონეთი) — 1:1, 1:0.

„ციურიპი“ (შვეიცარია) — „ანდერლექტი“ (ბელგია) — 2:3, 1:0.

„სანდერლენდი“ (ინგლისი) — „ვაშაშძ“ (უნგრეთი) — 2:0, 1:0.

- „გლაზგო-რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „ანკარაგიუჯუ“
(თურქეთი) — 2:0, 1:0.
- „მილანი“ (იტალია) — „დინამო“ ზაგრები, იუგოსლავია) —
3:1, 1:0.
- „ბრანი“ (ნორვეგია) — „ჯირა იუნაიტედი“ (მალტა) — 2:0,
7:0.
- „მაგდებურგი“ (გდრ) — ნაკ (ჰოლანდია) — 0:0, 2:0.
- „რაპიდი“ (ავსტრია) — „ფრეია“ (დანია) — 0:0, 2:1.
- „გლენტორანი“ (ჩრდ. ირლანდია) — „ხიმია“ (რუმინეთი) —
2:2, 2:0.
- „მალმე“ (შვეცია) — „ლარნიკა (კიპროსი) — 0:0, 11:0.
- „ბეროე“ (ბულგარეთი) — „ფლოეში“ (ლუქსემბურგი) —
7:0, 4:1.
- „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „კორკი“ (ირლანდია) — 1:0, 2:1.
- „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი) — „რეიპასი“ (ფინეთი) — 0:0, 2:0.
- „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „კარდიფ-სიტი“ (უელსი) —
0:0, 2:1.
- „ბორუსია“ (გფრ) — „ვესტმანაიერი“ (ისლანდია) — 7:0, 9:1.

მეორე წრე — მერვედფინალი

- „ბორუსია“ — გლაზგო-რეინჯერსი“ — 3:0, 2:3.
- „სპორტინგი“ — „სანდერლენდი“ — 1:2, 2:0.
- „მაგდებურგი“ — „ბანიკი“ — 0:2, 3:0.
- „ბეროე“ — „ატლეტიკო“ — 3:0, 0:1.
- „ციურიპი“ — „მალმე“ — 0:0, 1:0.
- პაოკ-ი — „ოლიმპიკი“ — 3:3, 4:0.
- „მილანი“ — „რაპიდი“ — 0:0, 2:0.
- „გლენტორანი“ — „ბრანი“ — 1:1, 3:1.

თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალების შედეგები ასეთია:

- „მილანი“ — „ბეროე“ — 3:0, 2:2.
- „მაგდებურგი“ — „ბეროე“ — 2:0, 1:1.
- „სპორტინგი“ — „ციურიპი“ — 3:0, 1:1.
- „ბორუსია“ — „გლენტორანი“ — 2:0, 5:0.

უფასო თასი

ამ შეჯიბრების გამართვის იდეა პირველად 1955 წელს გამოითქვა. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი ტურნირისა, რომელმაც ოფიციალურად მიიღო სახელწოდება: „ბაზრობათა ქალაქების თასი“.

საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა საასპარეზოდ დაეშვა ბაზრობათა მომწყობი ქალაქების ნაკრები გუნდები და მატჩები ბაზრობის დღეებში ჩატარებინა. მაგრამ ეს განუხორციელებელი დადგენილება იყო იმიტომ, რომ ბაზრობა სხვადასხვა დროს იმართებოდა. შემდეგ გადაწყდა, სათამაშოდ დაეშვათ საკლუბო გუნდები, თანაც აუცილებელი არ გახლდათ ეს კოლექტივები ბაზრობის მომწყობი ქალაქებიდან ყოფილიყვნენ.

ამ ტურნირში მონაწილეობის კანდიდატების დასახელება დაევალათ ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციებს.

ბაზრობათა თასის გათამაშების მონაწილეთა რაოდენობა მუდამ აღემატებოდა ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში მოასპარეშეთა რიცხვს. დებულება ითვალისწინებდა თითოეული ქვეყნიდან არა უმეტეს 4 გუნდის მონაწილეობას. თანაც, მონაწილეთა რიცხვმა ბოლო გათამაშებაში 64-ს მიაღწია, თუმცა თავდაპირველად ბევრად მეტი მსურველი იყო (1970—71 წლების გათამაშებაში — 96 განაცხადი).

პირველი ტურნირის ორგანიზაცია ნაკლებად სრულყოფილი იყო. გათამაშება 1955 წელს დაიწყო და 1958 წელს დამთავრდა. მხოლოდ 1960 წლიდან მიიღო ტურნირმა ნორმალური ხასიათი. შეჯიბრება ერთი წლის გაზაფხულზე ან შემოდგომაზე იწყებოდა და შემდეგი წლის მაისში ან ივნისში მთავრდებოდა.

პირველი გათამაშების სტარტი ქალაქების ნაკრებმა კოლექტივებმა აიღეს, ხოლო ფინიშთან მივიდნენ... საკლუბო გუნდები. ფინალში გავიდნენ „ჩელსი“ და „ბარსელონა“.

ტურნირის პოპულარობა წლითიწლობით იზრდებოდა, რაც უპირველეს ყოვლისა, მონაწილეთა სიძლიერით უნდა აიხსნას. 1971 წლიდან ბაზრობათა თასის ნაცვლად გუნდები უეფა-

თასს ეცილებიან ერთმანეთს. უწინდელი პრიზი — ბაზრობათა თასი — 1971 წლის შემოდგომაზე სამუდამოდ ჩაიბარა მისმა პირველმა მფლობელმა „ბარსელონამ“, ვინაიდან მან ამ ჯილდოს ბოლო (1970—71 წ.წ.) მფლობელი „ლიდს იუნაიტედი“ დაამარცხა ანგარიშით 2:1.

უეფა-ს თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა, რომ, როგორც ბაზრობათა თასის გათამაშებაში მონაწილეთა რაოდენობა აქაც არ უნდა აღემატებოდეს 64-ს. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ ქვეყნების გუნდებს, რომლებიც ფიფა-ს წევრები არიან. ამასთან, მონაწილეთა რაოდენობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის საკლუბო გუნდების მიღწევებზე ამ ტურნირში.

უეფა-ს თასის გათამაშების კენჭისყრისას მიმართავენ უძლიერესთა განთესვის პრინციპს. გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ ერთი ქვეყნის გუნდები მეოთხედფინალამდე არ შეხვდნენ ერთმანეთს. ტურნირის რეგლამენტი იგივეა, რაც ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებისა. გუნდები ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს: შინ და გარეთ. გამარჯვებულია ის, ვინც ორი თამაშის ჯამში მეტ გოლს გაიტანს. ბურთების ერთნაირი შეფარდების შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელმაც სტუმრად მეტი გოლი გაიტანა. თუ ეს შედეგებიც ერთნაირია, მეორე მატჩში ინიშნება დამატებითი 30 წუთი და თუ გამარჯვებული ამჯერადაც არ გამოვლინდა, გამარჯვებული 5—5 პენალტმა უნდა გამოავლინოს.

მოგვყავს თასის მფლობელებისა და ფინალისტების სია I გათამაშება. 1955—58 წ.წ. 10 მონაწილე.
ფინალი: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ჩელსი“ (ლონდონი, ინგლისი) 2:2, 6:0.

II გათამაშება. 1958—60 წ.წ. 10 მონაწილე.
ფინალი: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ბირმინგემი“ (ინგლისი) 1:1, 4:1.

III გათამაშება. 1960—61 წ.წ. 15 მონაწილე.
ფინალი: „რომა“ (იტალია) — „ბირმინგემი“ (ინგლისი) 2:2, 2:0.

IV გათამაშება. 1961—62 წ.წ. 28 მონაწილე.

ფინალი: „ვალენსია“ (ესპანეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 6:2, 1:1.

V გათამაშება. 1962—63 წ.წ. 32 მონაწილე.
ფინალი: „ვალენსია“ (ესპანეთი) — „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) 2:1, 2:0.

VI გათამაშება. 1963—64 წ.წ. 32 მონაწილე.
ფინალი: „სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი) 2:1.

VII გათამაშება. 1964—65 წ.წ. 48 მონაწილე.
ფინალი: „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 1:0.

VIII გათამაშება. 1965—66 წ.წ. 48 მონაწილე.
ფინალი: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „სარაგოსა“ (ესპანეთი) 0:1, 4:2.

IX გათამაშება. 1966—67 წ.წ. 48 მონაწილე.
ფინალი: „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) 2:0, 0:0.

X გათამაშება. 1967—68 წ.წ. 48 მონაწილე.
ფინალი: „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 1:0, 0:0.

XI გათამაშება. 1968—69 წ.წ. 64 მონაწილე.
ფინალი: „ნიუკასლ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „უიპეშტ დოჟა“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:0, 3:2.

XII გათამაშება. 1969—70 წ.წ. 64 მონაწილე.
ფინალი: „არსენალი“ (ლონდონი, ინგლისი) — „ანდერლექტი“ (ბრიუსელი, ბელგია) 1:3, 3:0.

XIII გათამაშება. 1970—71 წ.წ. 64 მონაწილე.
ფინალი: „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 2:2, 1:1 (ინგლისელებმა გაიმარჯვეს მეტოქეთა მიწდორზე გატანილი ორი გოლის წყალობით).

XIV გათამაშება. 1971—72 წ.წ. 64 მონაწილე.
ფინალი: „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი) — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ (ინგლისი) 2:1, 1:1.

XV გათამაშება. 1972—73 წ.წ. 64 მონაწილე.
ფინალი: „ლივერპული“ (ინგლისი) — „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ) — 3:0, 0:2.

მაშასადამე, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ უეფა-ს თასის პირველი მფლობელი გახდა.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ამ გათამაშებაში ჩვენი კლუბების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 1970 წელს.

შეიძლება ითქვას, რომ უეფა-ს თასის გათამაშება იმ ტურნირებს შორის, რომლებიც ევროპის საკლუბო გუნდებისთვის ტარდება, ყველაზე პოპულარული თუ არა, მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე წარმომადგენლობითია: უკანასკნელ წლებში მის პირველ წრეში ყოველთვის მონაწილეობს 60-ზე მეტი გუნდი. ამ გუნდების უმეტესობას აქვს საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის დიდი გამოცდილება.

თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ საბჭოთა ფეხბურთის უეფა-ს თასის გათამაშებაში წარმომადგენლეს ორი გუნდი — მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“. ამ გუნდებმა 1970 წლის საკავშირო ჩემპიონატში შესაბამისად III და IV ადგილები დაიკავეს. მაგრამ ტურნირში მონაწილეობა მხოლოდ სპარტაკელებმა მიიღეს. მოსკოველმა ფეხბურთელებმა წარმატებით განვლეს პირველი წრე, სადაც მათი მეტოქე იყო ჩეხოსლოვაკის ქალაქ კოშიცეს კლუბი ვსს (2:0, 1:2) შემდეგ წრეში სპარტაკელებმა ორ მატჩში პორტუგალიის „ვიტორიასთან“ ოთხი შესაძლებელიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

უეფა-ს თასის შემდგომ გათამაშებაში (1971—72 წ.წ.) მონაწილეობა მიიღეს 1971 წლის საკავშირო პირველობის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა — ერევნის „არარატმა“ და თბილისის „დინამომ“. კენჭისყრამ დინამოელებს წილად არგუნა შეხვედრები ჰოლანდიის „ტვენტეს“ გუნდთან. 1972 წლის 13 ოქტომბერი თბილისის „დინამოს“ ისტორიაში შევიდა როგორც ღირსშესანიშნავი თარიღი: ამ დღეს გუნდმა ჩაატარა თავისი პირველი ოფიციალური მატჩი ევროპულ ტურნირში. აი ჩვენი გუნდის შემადგენლობა ამ შეხვედრაში: გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი.

ეს მატჩი თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 3:2. გოლები გაიტანეს გუცაევმა — 2, ყიფიანმა.

მინიმალური სხვაობით მოგებამ და ჰოლანდიელთა მიერ გატანილმა ორმა ბურთმა შესამჩნევად გააძნელა თბილისელთა მდგომარეობა. წინ იყო რთული მატჩი სტუმრად. შიში გამართლდა: „ტვენტემ“ საკუთარ მინდორზე, ენსხედეში უფრო ძლიერად ითამაშა და გაიმარჯვა — 2:0. „დინამოს“ შემადგენლობა: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, პეტრიაშვილი (გავაშელი), მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (ლ. ნოდია), ყიფიანი. ჰოლანდიელებმა მოიპოვეს შემდეგ წრეში თამაშის უფლება. დინამოელებისთვის კი „ტვენტე“ პირველი და უკანასკნელი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა.

მეორე საბჭოთა გუნდმა — ერევნის „არარატმა“ წარმატებით განვლო ორი ეტაპი — ოცდამეთორმეტედფინალი და მეტექვამეტედფინალი, დაამარცხა რა კიპროსის ება (1:0, 1:0) და შვეიცარიის „გრასჰოპერსი“ (3:1, 4:2).

შემდეგ წრეში ერევნელებმა ვერ დასძლიეს დასავლეთგერმანული კლუბის „კაიზერსლაუტერნის“ წინააღმდეგობა: საკუთარ მინდორზე მატჩი ამ გუნდთან მოიგეს ანგარიშით 2:0, სტუმრად კი ამავე ანგარიშით დამარცხდნენ. მომავალი მეოთხედფინალისტის ბედი პენალტებმა გადაწყვიტა.

და აი, უეფა-ს თასის ახალი — 1973—74 წ.წ. გათამაშება. საბჭოთა ფეხბურთის ღირსებას ამჯერად იცავენ კიევისა და თბილისის დინამოელები. კიეველებს პირველ წრეში შედარებით იოლი მეტოქე შეხვდა — ნორვეგიის კლუბი „ფრედრიკსტადი“. ხოლო, რაც შეეხება სოფიის „სლავიას“, რომელიც კენჭისყრამ არგუნა თბილისის „დინამოს“ უეფა-ს თასის გათამაშების I წრეში, ბულგარეთის ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი გუნდი იყო. იგი ჩამოყალიბდა 1913 წელს. ამ გუნდს 50-იან წლებში ერქვა „უდარნიკი“. „სლავია“ არაერთხელ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ ეს წარმატებები ეკუთვნის ომამდელ წლებს. შემდგომში ამ კლუბმა 4-ჯერ მოიპოვა თავისი ქვეყნის თასი. უკანასკნელად ეს მოხდა 1966 წელს.

„სლავიის“ უმაღლეს მიღწევას საერთაშორისო სარბიელზე წარმომადგენს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში გასვლა 1967 წელს. ადრე კლუბის შემადგენლობაში თამაშობდნენ პირველხარისხოვანი ფეხბურთელები ბაჩკუშევი, სტაიკოვი, სტოიანოვი, ტაშკოვი. გუნდის ახ-

ლანდელი შემადგენლობიდან გამოირჩევიან მცველი შალამანოვი და მეკარე სიმეონოვი .

„სლავია“ ბულგარული ფეხბურთის ტიპური წარმომადგენელია. იგი გამოირჩევა მაღალი ათლეტიზმით, ტემპით, სისწრაფით, ძალისმიერი ბრძოლით, საერთოდ, ამ ქვეყნის გუნდები ძნელ მეტოქეებს წარმოადგენენ ყველასთვის.

მოგვყავს უეფა-ს 1973—74 წლების ტურნირის შედეგები:

პირველი წრე — ოცდამეთორმეტადღიანალი

I ჯგუფი

„დინამო“ (კიევი) — ფრედრიქსტადი“ (ნორვეგია) — 1:0, 4:0.
„რუზი“ (პოლონეთი) — „ვუპერტალი“ (გფრ) — 4:1, 4:5.
აიკ (შვეცია) — „ბოლდკლუბენ-1903“ (დანია) — 2:1, 1:1.
„კარლ ცაისი“ (გდრ) — „მიკელი“ (ფინეთი) — 3:0, 3:0.

II ჯგუფი

„ლიდსი“ (ინგლისი) — „სტრიომსგოდსეტი“ (ნორვეგია) — 1:1, 5:1.
„ფეიენოორდი“ (პოლანდია) — „ესტერსი“ (შვეცია) — 3:1, 2:1.
„სტანდარდი“ (ბელგია) — „არდესი“ (ჩრდ. ირლანდია) — 2:3, 6:1.
„ჰიბერნიენი“ (შოტლანდია) — „კეფლავიკი“ (ისლანდია) — 2:0, 1:1.

III ჯგუფი

„ნიცა“ (საფრანგეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 3:0, 0:2.
„ფორტუნა“ (გფრ) — „ნაესტვედი“ (დანია) — 1:0, 2:2.
„ტოტენჰემი“ (ინგლისი) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — 5:1, 4:1.
„აბერდინი“ (შოტლანდია) — „ფინ ჰარპსი“ (ირლანდია) — 4:1, 3:1.

IV ჯგუფი

„ტვენტე“ (პოლანდია) — „დანდი“ (შოტლანდია) — 3:1, 4:2.
„რესინგი“ (ბელგია) — „ესპანოილი“ (ესპანეთი) — 3:0, 1:2.
„ვულვერჰემპტონი“ (ინგლისი) — „ბელენენსეში“ (პორტუგალია) — 2:0, 2:1.
„მარსელი“ (საფრანგეთი) — „ლუქსემბურგი“ (ლუქსემბურგი) — 5:0, 7:1.

V ჯგუფი

„იფსვიჩი“ (ინგლისი) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — 1:0, 0:0.
„ლაციო“ (იტალია) — „სიონი“ (შვეიცარია) — 3:0, 1:3.
„ვიტორია“ (პორტუგალია) — „ბეერსკოტი“ (ბელგია) — 2:0, 2:0.
„ლოკომოტივი“ (პლოვდივი, ბულგარეთი) — „შლიემა უონდერერსი“ (მალტა) — 2:0, 1:0.

VI ჯგუფი

„უნივერსიტატეა“ (რუმინეთი) — „ფიორენტინა“ (იტალია) — 0:0, 1:0.
„გვარდია“ (პოლონეთი) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — 1:0, 2:1.
„შტუტგარტი“ (გდრ) — „ოლიმპიაკოსი“ (კიპროსი) — 4:0, 9:0.
„ტატრანი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ველეჟი“ (იუგოსლავია) — 4:2, 1:0.

VII ჯგუფი

„დინამო“ (თბილისი) — „სლავია“ (ბულგარეთი) — 4:1, 0:2.
ოფკ (იუგოსლავია) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — 2:1, 0:1.
„ადმირა“ (ავსტრია) — „ინტერნაციონალე“ (იტალია) — 1:0, 1:2.
„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „არჯესი“ (რუმინეთი) — 5:1, 1:1.

VIII ჯგუფი

- „ჰონვედი“ (უნგრეთი) — ვსს (კოშიცე, ჩეხოსლოვაკია) — 0:1, 5:2.
- „ლოკომოტივი“ (ლაიპციგი, გდრ) — „ტურინი“ (იტალია) — 2:1, 2:1
- „კიოლნი“ (გფრ) — „ექსიშეპირსპორი“ (თურქეთი) — 0:0, 2:0.
- „პანაჩაკი“ (საბერძნეთი) — „გრაცი“ (ავსტრია) — 2:1, 1:0.

* * *

1973 წლის 19 სექტემბერს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შესდგა პირველი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და სოფიის „სლავიას“ შორის. ჩვენმა ფეხბურთელებმა ძალიან ძლიერად ჩაატარეს ეს შეხვედრა და გაიმარჯვეს დამაჯერებელი ანგარიშით — 4:1 (2:0). „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: გოგია, ებრალიძე, კანთელაძე, ჭელიძე (ხიზანიშვილი), ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია. ბურთები გაიტანეს ლ. ნოდია — 2, გ. ნოდია — 1 და მაჩაიძემ.

საპასუხო მატჩი სოფიაში 3 ოქტომბერს ძნელი გამოდგა დინამოელთათვის. მაგრამ სტუმრებმა მაინც გაუძლეს „სლავიის“ მასირებულ იერიშებს. მართალია, მასპინძლებმა ამჯერად გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, მაგრამ ჯამში ორი მატჩის შედეგი იყო 4:3 თბილისელთა სასარგებლოდ.

ბულგარეთის დედაქალაქში თბილისის „დინამო“ შემდეგი შემადგენლობით გამოდიოდა: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი (ლ. ნოდია).

მეორე წრე — მეთექვსმეტედონალი

(24 ოქტომბერი — 7 ნოემბერი)

- „დინამო“ (თბილისი) — ოფკ (იუგოსლავია) — 3:0, 5:1
- „დინამო“ (კიევი) — „ბოლდკლუბენი“ — 1:0, 2:1
- „ჰონვედი“ — „ლოკომოტივი“ (ბულგარეთი) — 4:3, 3:2
- „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „აბერდინი“ — 1:1, 4:1
- „რუხი“ — „კარლ ცაისი“ — 3:0, 0:1

- „შტუტგარტი“ — „ტატრანი“ — 3:1, 5:3
- „ლიდს იუნაიტედი“ — „ჰიბერნიენი“ — 0:0, 0:0
(პენალტებით — 5:4)
- „ფეიენოორდი“ — „გვარდია“ — 3:1, 0:1
- „იფსვიჩი“ — „ლაციო“ — 4:0, 2:4
- „სტანდარდი“ — „უნივერსიტატეა“ — 2:0, 1:1
- „ფორტუნა“ — „ადმირა“ — 1:2, 3:0
- „ტვენტე“ — „პანაჩაკი“ — 1:1, 7:0
- „ლოკომოტივი“ (გდრ) — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — 3:0, 1:4
- „კიოლნი“ — „ოლიმპიკი“ — 0:2, 6:0
- „ნიცა“ — „ფენერბახჩე“ — 4:0, 2:0
- „ვიტორია“ — „რესინგვიტი“ — 1:0, 1:2

ოფკ (ბელგრადი), რომელთანაც თბილისის „დინამოს“ მოუხდა ბრძოლა უეფა-ს თასის მეთექვსმეტედონალში, პრესტიჟით უდავოდ აღემატება ჩვენი გუნდის წინა მეტოქეს — სოფიის „სლავიას“, თუმცა მასზე გაცილებით ახალგაზრდაა: დაარსდა 1945 წელს.

ოფკ ნიშნავს „ომლადენსკი ფუდბალსკი კლუბს“ (სერბიულად — ახალგაზრდული საფეხბურთო კლუბი). გუნდი იუგოსლავიის 5 გზის ჩემპიონი და 4 გზის თასის მფლობელია, მაგრამ ეს წარმატებები ოფკ-ს დიდი ხნის წინ ჰქონდა მოპოვებული, ბოლო გამარჯვებას კი 1966 წელს მიაღწია, როცა იუგოსლავიის თასი დაისაკუთრა.

1968—1969 წლებში ოფკ მხოლოდ XIV იყო, მაგრამ შემდეგ მკვეთრად გააუმჯობესა თამაში, 1969—70 წლებში V ადგილზე გავიდა, 1970—71 წლებში — მეოთხეზე, 1971—72 წლებში კი — მესამეზე.

1972—73 წლების ჩემპიონატში გუნდი ძლიერად თამაშობდა, თუმცა I ადგილისთვის სერიოზული პრეტენზია არ ჰქონია.

თბილისის „დინამომ“ მატჩი ბელგრადის ოფკ-სთან საუკეთესოდ ჩაატარა, ყოველმხრივ აჯობა მეტოქეს და სოლიდური მარაგით გაიმარჯვა (3:0).

იუგოსლაველებთან პირველ მატჩში „დინამო“ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცი-

ლავა, (კანთელაძე), ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი (წერეთელი), გ. ნოდია, ლ. ნოდია, გოლები გაიტანეს ყიფიანმა, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

7 ნოემბერს ბელგრადში შესდგა ოფკ-სა და „დინამოს“ განმეორებითი მატჩი.

დინამოელებმა შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარეს, მათი უპირატესობა აშკარა იყო. ამაზე საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს — 5:1! მეშვიდე წუთზე დაახლოვებით 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ანგარიში ვ. ჭელიძემ გახსნა 10 წუთის შემდეგ გ. ნოდია ანგარიში გაზარდა, ხოლო 35-ე წუთზე ბრწყინვალედ ითამაშა კ. ასათიანმა. მან ბურთი მიაწოდა ლ. ყიფიანს, რომელმაც მესამედ აიღო კარი. შესვენების შემდეგ ყიფიანმა და ზ. წერეთელმა კიდევ უფრო განამტკიცეს „დინამოს“ წარმატება. გუნდი მერვედფინალში გავიდა.

„დინამოს“ შემადგენლობა ამ მატჩი ასეთი იყო: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე (გავაშელი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი (წერეთელი), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მერვედფინალისტთა წილისყრამ თბილისის „დინამოს“ ძალზე ძლიერი და გამოცდილი მეტოქე არგუნა — ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — უეფა-ს თასის პირველი მფლობელი, თავისი ქვეყნის ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მრავალჯერ გამარჯვებული. გუნდის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ ისეთი განთქმული ოსტატები, როგორც არიან ბლენჩფლაუერი, რამსეი, სმიტი, გრივსი, ახლა კი — ჯენინგსი, ინგლენდი, პიტერსი, ჩივერსი და სხვა.

პირველი მერვედფინალური მატჩი (იგი გაიმართა 28 ნოემბერს თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე) საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში წარმართა ინგლისელებმა ანგარიში პირველ ტაიმში გახსნეს. დინამოელებს კარის აღების რამდენიმე რეალური მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენეს. 71-ე წუთზე ასათიანის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

ეს მატჩი დინამოელებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე,

ებრალიძე (წერეთელი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ 12 დეკემბერს განმეორებითს მატჩს, რომელიც „ტოტენჰემის“ მინდორზე „უაით ჰართ ლენის“ სტადიონზე შედგა.

ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ პირველი 45 წუთის მანძილზე დინამოელები არათუ ახერხებდნენ ამ იერიშების მოგერიებას, თვითონაც ხშირად გადადიოდნენ კონტრშეტევაზე და სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ მოპირდაპირე კართან. თუმცა, ისინი ძალიან ბევრ დროს კარგავდნენ შუა მინდორში და, საბოლოოდ ამ ზონას გაივლიდნენ, „ტოტენჰემის“ დაცვას ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა თავის ნახევარზე.

ანგარიში 28-ე წუთზე გახსნა მაკგრატმა, რომელსაც არავინ შეუშალა ხელი თავით მიეღო მაღალი ბურთი და დაერტყა მიზანში — 1:0.

შესვენების შემდეგ და 52-ე წუთზე კოუტსმა მაღალი ბურთი მიაწოდა ჩივერსს: თავური დარტყმა — 2:0.

ამ თითქოს უიმედო სიტუაციაში დინამოელებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა. ბურთი გაიტანა ებრალიძემ. კოტა ხანს გუნდი მაღალი ტემპით, აქტიურად თამაშობდა, მაგრამ მერე, როცა მე-60 წუთზე მაკგრატ-პიტერსის კომბინაციის შემდეგ „დინამოს“ მცველებმა ვერ შეძლეს ხიფათის ლიკვიდირება, ხოლო გოგიამ დააგვიანა წინ გამოსვლა, „ტოტენჰემის“ ცენტრფორვარდმა თავით მესამე ბურთი გაიტანა. დარჩენილ დროში ჩივერსმა და პიტერსმა კიდევ ორჯერ მოიგეს საპაერო დუელი და საბოლოოდ დააგვირგვინეს გამარჯვება — 5:1 „ტოტენჰემის“ სასარგებლოდ.

ინგლისელები გავიდნენ მეოთხედფინალში, ხოლო თბილისის „დინამოს“ მონაწილეობა უეფა-ს თასის მიმდინარე გათამაშებაში ამით ამოიწურა.

„დინამო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი.

აი მერვედფინალების შედეგები:

მესამე წრე — მერვედფინალი

(28 ნოემბერი — 12 დეკემბერი)

„ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „დინამო“ (თბილისი)	— 1:1, 5:1
„შტუტგარტი“ — „დინამო“ (კიევი)	— 0:2, 3:0
„ლოკომოტივი“ (გდრ) — „ფორტუნა“	— 1:2, 3:0
„კიოლნი“ — „ნიცა“	— 0:1, 4:0
„იფსვიჩი“ — „ტვენტე“	— 1:0, 2:1
„რუხი“ — „ჰონვედი“	— 0:2, 5:0
„ვიტორია“ — „ლიდსი“	— 0:1, 3:1
„ფეიენოორდი“ — „სტანდარდი“	— 1:3, 2:0
მეოთხედფინალის შედეგები ასეთია:	
„შტუტგარტი“ — „ვიტორია“	— 1:0, 2:2
„ლოკომოტივი“ — „იფსვიჩი“	— 1:0, 0:1,
პენალტებით გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“	
„ტოტენჰემი“ — „კიოლნი“	— 2:1, 3:0
„ფეიენოორდი“ — „რუხი“	— 1:1, 3:1

რედაქტორი ზ. ჯაფარიძე

ტექ. რედაქტორი რ. ცხვარაძე

გადაეცა წარმოებას 12/III-74 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IV-74 წ.

ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂

ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 3.

საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,94.

შეკვ. 1007. ტირ. 40.000. შე 00634.

ფასი 15 კაბ.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии.
Тбилиси, ул. Ленина № 14.